ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №535/06

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიო შესყიდვის განხორციელების შესახებ

ქ. თბილისი 25 მაისი 2018 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნუნუ ოვსიანიკოვას სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ შპს „პისიშოპ.ჯი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ ხორგუაშვილისსახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N333 ბრძანებითა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 21 მაისის N1340 განკარგულებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ქართული ენის დღისადმი და საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების განხორციელების პროგრამის ფარგლებში, სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწფო უნივერსიტეტი“-სთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების დაფინანსების ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10' მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებებისთვის მაგიდის კომპიუტერის (დესკტოპი) და ვირტუალური რეალობის სათვალის (კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები CPV30200000) სახელმწიფო შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის მოცულობა და ღირებულება:

N	დასახელება	მწარმოებელი ქვეყანა, ფირმა და მოდელი	რაოდენობა	ერთ. ფასი	სულ ფასი
1	მაგიდის კომპიუტერი (დესკტოპი) CPV30213300	**პროცესორი: (ჩინეთი)** Intel|i5-8400 Tray |6|9MB|LGA1151 (i5-8400 Tray)	2 კომპლექტი	569.00	1,138.00
		ქულერი: (ჩინეთი) Zalman | CNPS90F | 1151/1150/FM2/940/939/754/AM2+ /AM2/AM3+/AM3/FM1/775/1156/1366/1155|29dBA(CNPS90F)		19.00	38.00
		დედადაფა: (ჩინეთი) GIGABYTE |Z370PD3|LGA1151|Z370Express|DDR4|DIMM|4|		365.00	730.00
		ოპერატიული მეხსიერება: (ჩინეთი) Crucial | CT8G4DFS824A | 8GB | DDR4 | 2400 MHz(CT8G4DFS824A)		255.00	510.00
		მყარი დისკი: (ჩინეთი) Toshiba - 500GB | 3.5" | Sata 6.0GB/s| 7200RPM|32MB(DT01ACA050)		115.00	230.00
		მყარი დისკი: (ტაივანი) ADATA SSD Premier SU800 128GB(ASU800SS-128GT-C)		169.00	338.00
		ოპტიკური დისკის წამკითხველი: (ჩინეთი) LG GH24NSD1 SATA DVD-RW(GH24NSD1)		45.00	90.00
		ვიდეო დაფა: (ჩინეთი) ZOTAC | GeForce 1050TI OC 4GB | 4GB GDDR5 | 1392 MHz | 128-bit | DP/HDMI/DL-DVI(ZT-P10510B-10L)		699.00	1,398.00
		ქეისი: (ჩინეთი) Zalman | N3 | Mid Tower | ATX/mATX/Micro ATX(N3)		79.00	158.00
		კვების ბლოკი: (ტაივანი) FSP 500W PSU (FSP500-60AHBC)		139.00	278.00
		კლავიატურა: (ჩინეთი) Genius KB-110 USB Water Resistant Keyboard(KB-110 USB)		19.00	38.00
		მაუსი: (ჩინეთი) Genius DX-120 USB Black(DX-120)		10.00	20.00
		მონიტორი: (ჩინეთი) ACER | K272HL | 27" | 1920 x 1080 | 300cd/m2 | 100,000,000:1|4ms| VGA,DVI,HDMI(UM.HX3EE.D01)		545.00	1,090.00

2	VR კონსოლი CPV30237420	ვირტუალური რეალობის სათვალე (ჩინეთი) HTC Vive / Two wireless controllers / Two base stations / Link box / Earbuds (99HAHZ061-00), Steam VR პლატფორმის მხარდაჭერით, სრული სტანდარტული კომპლექტაციით	2 კომპლ.	1,749.00	3,498.00
		სულ ფასი		**9554.00 ლარი**	

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს, მოწოდებული ტექნიკის გამართვა და ყველა აქსესუარის ინსტალაცია.

2.2. შესყიდვის ობიექტის სრული ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს: **9554,00 (ცხრაათასხუთასორმოცდათოთხმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს.**

3. ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს:

3.1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპიუტერული ტექნიკის, მაკომპლექტებელი და სათადარიგო ნაწილების ინსპექტირების ჯგუფი, რომელსაც შეუძლია ინსპექტირება განახორციელოს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად. ინსპექტირება გულისხმობს შესაბამისობის დადგენას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან, ხელშეკრულების პირობების შესრულებას, მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი პირობებისა და ნორმების დაცვას.

3.2. „შემსყიდველი" ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესასყიდი მომსახურების ხარისხის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

3.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული (დაბალი ხარისხის) შესყიდვის ობიექტის შეცვლა, არ შეცვლის შემთხვევაში შესმსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

4. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

4.2. გაწეული მომსახურების ანაზღაურება მოხდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში (მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე).

4.3. ანგარიშსწორება იწარმოებს შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტისა (მიღება-ჩაბარების აქტის ფორმა თან ერთვის) და/ან საგადასახადო ანგარიშფაქტურის/სასაქონლო ზედნადების გამოწერიდან და ინსპექტირებაზე უფლებამოსილი პირის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტით, წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის/სასაქონლო ზედნადების თანდართვით, ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.2. მიღება–ჩაბარებისას შემსყიდველი ორგანიზაცია განახორციელებს გაწეული მომსახურების ინსპექტირებას. ინსპექტირების შედეგებზე შედგენილი იქნება დასკვნა უფლებამოსილი პირ(ებ)ის ხელმოწერით.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და პირობები

6.1. საქონლის მიწოდების ადგილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №1.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2 (ორი) კალენდარული დღის განმავლობაში არაუგვიანეს 2018 წლის 26 მაისისა.

6.3. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

7. გარანტია

7.1. მიმწოდებელი იძლევა მიწოდებული შესყიდვის ობიექტის არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობის გრანტიას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება ახალი, არა მეორადი ქარხნულად აღდგენილი/გადამუშავებული.

7.2. შესყიდვის ობიექტის სრულფასოვანი ფუნქციონირების საგარანტიო ვადა განისაზღვრება შესყივდის ობიექტის მიწოდებიდან არანაკლებ 1 (ერთი) წლის ვადით.

7.3. საგარანტიო პერიოდში ინსპექტირება ხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, საქონლის მიღებისას, აგრეთვე მიღების შემდეგ, მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების არსებობის პერიოდში.

7.4. საგარანტიო პერიოდში ექსპლუატაციის პროცესში, შეუსაბამო მეტეოროლოგიური პირობების დროს მექანიკური დაზიანების გარდა, წარმოქმნილი ხარვეზების არსებობის შემთვევაში, შემსყიდველი წერილობით ან/და ელექტრონული ფორმით აცნობებს მომსახურების გაწევის საჭიროების შესახებ „მიმწოდებელს". „მიმწოდებელი" მისი წარმომადგენლის მიერ, საკუთარი ხარჯებით (ტრანსპორტირების ჩათვლით) შეტყობინებიდან არაუგვიანეს მესამე სამუშაო დღისა ახდენს რეაგირებას. საჭიროების შემთხვევაში ორი სამუშაო დღის ვადაში დგება დეფექტური აქტი, რომელიც მოიცავს შესასრულებელ სამუშაოებს და მათ
ხანგრძლივობას. სერვის მომსახურება განხორციელდება არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში თუ ასეთი პროდუქციისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილები მიმწოდებელს აქვს ადგილზე (საწყობში), წინააღმდეგ შემთხვევაში დეფექტური აქტით განსაზღვრულ გონივრულ ვადაში.

7.5. იმ შემთხვევაში თუ საქონელი არ ექვემდებარება შეკეთებას, იგი უნდა შეიცვალოს ახლით.

8. ხელშეკრულების პირობების შესრულება

8.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, „შემსყიდველი" უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%–ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს „შემსყიდველს" პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%–ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

8.4. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, „მიმწოდებელი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „შემსყიდველს" ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.5. მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ ხელშეკრულების შეუსრულებლობთ ან/და არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან დაკისრებულ მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში, ამ გარემოებათა არსებობის განმავლობაში.

9.2. დაუძლეველი ძალა გულისხმობს: ომსა და საბრძოლო მოქმედებებს, სტიქიურ უბედურებებს, ხანძარს, გაფიცვებს, სამოქალაქო არეულობას, საკანონმდებლო ცვლილებებს.

9.3. დაუძლეველი ძალის მოვლენის დადგომის შემთხვევაში მხარე, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ წერილობით მიმართავს მეორე მხარეს ამის შესახებ, თუ დაუძლეველი ძალის მოვლენა გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებმა შეიძლება შეწყვიტონ ზელშეკრულების მოქმედება.

9.4. მხარე არ თავისუფლდება პირობებისაგან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ძალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც განსაზღვრულ ვადებში.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

10.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი იღებენ ურთიერთვალდებულებას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის სრული დაცვით.

10.2. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ზუსტი და განუხრელი შესრულება;

ბ) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

გ) მოითხოვოს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა დამატებითი ანაზღაურების გარეშე;

დ) შეწყვიტოს ხელშეკრულება შესყიდვის ობიექტის ხარისხის და/ან ხელშეკრულების პირობების გაუარესების გამო.

10.3. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ღირებულების დროული გადახდა.

10.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

ბ) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათალისწინებული პირობების ზუსტი და განუხრელი დაცვა.

10.5. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ადგილზე მიწოდება;

ბ) შესყიდვის ობიექტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში მიწოდება

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთერთი მხარის ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11.2. წერილობითი შეტყობინება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

12. ხელშეკურლების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი პირების ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ყველა დავა, რომელიც წარმოიქმნება წინამდებარე ხელშეკრულებიდან, უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით.

13.2. თუ მხარეები 10 (ათი) კალენარული დღის განმავლობაში ვერ მოილაპარაკებენ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ წესებს.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

14.2. მხარეები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას.

14.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

14.1. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულების დარღვევების და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

14.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

14.6. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მიმოწერა სრულდება ქართულ ენაზე.

14.7. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ წერილობითი ფორმით ორმხრივი ხელმოწერით დადასტურების შემდეგ.

14.8. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება მხარეებთან, ერთი „მიმწოდებელთან“, ორი - „შემსყიდველთან“.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

სსიპ –ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისამართი – ი.ჭავჭავაძის გამზ #1

საბანკო რეკვიზიტები:

სახელმწიფო ხაზინა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N333 ბრძანებითა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 21 მაისის N1340 განკარგულებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ ქართული ენის დღისადმი და საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების განხორციელების პროგრამის ფარგლებში

საიდენტიფიკაციო კოდი: 204864548

მიმწოდებელი

შპს „პისიშოპ.ჯი"

მისამართი – ვაჟა–ფშაველას გამზ#18

საბანკო რეკვიზიტები:

ს/ს თიბისი ბანკი

ანგ. #GE71TB4088936020100006

ბანკის კოდი TBCBGE22

საიდენტიფიკაციო კოდი 205198481

სსიპ –ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

/ნ.ოვსიანნიკოვა/

შპს „პისიშოპ.ჯი"-ის დირექტორი

/ზ. ხორგუაშვილი/

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

" 25 " მაისი 2018 წ.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით კომპიუტერული მოწყობილობების და აქსესუარების, CPV30200000 სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში შპს „პისიშოპ.ჯი"-თან მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი — ნ. ოვსიანიკოვა

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე — ლ. საღინაძე

თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი — ი.საღარეიშვილი

თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი — ა.კუკულავა

თსუ შესყიდვების განყოფილების უფროსი — ს. სანაძე

შესყიდვების განყოფილების
მთ. სპეციალისტი — დ. ტიკარაძე